ხელშეკრულება N 91

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. რუსთავი 25 ოქტომბერი 2016 წ.

ერთის მხრივ სსიპ - **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი,** შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი დირექტორის **ავთანდილ მიქანაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია"** წარმოამდგენელი მისი დირექტორის **მალხაზი ჯიმშიაშვილის** სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4. ,,მხარე" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.

5. ,,მხარეები" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი **სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი"**

მიმწოდებელი **შპს „ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია"**

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - ნიშნავს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტის 4.1 ქვეპუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ ნიშნავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში აკუმულატორების, დენის პირველადი წყაროებისა და პირველადი ელემენტების **(CPV-31400000; 31431000)** შესყიდვა თანმდევი მომსახურებით (შეცვლა) „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“-ს კუთვნილი ავტოტრანსპორტისთვის **(TOYOTA HIACE 2.7, სახელმწიფო ნომრით PAD-857, გამოშვების წელი - 2007)**

კერძოდ:

საქონლი დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
აკუმულატორი Exide Premium 75 ა/ს EA755	ცალი	1	220	220
სულ ჯამი (ლარი)				220

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდება (თანმდევი მომსახურებით - შეცვლა) განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 28 ოქტომბრისა.

3.2 საქონლის მიწოდება (თანმდევი მომსახურებით) განხორციელდება: „მიმწოდებლის“ ფაქტობრივ მისამართზე (აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კვ, N13).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **220 (ორასოცი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადებს.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურებისთვის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან **5** (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი

5.3 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.

5.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5.5 შესყიდვა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის **2016 წლის საბიუჯეტო** დაფინანსებიდან.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

7. ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ხარისხზე.

7.2 მიწოდებულ საქონელზე (აკუმულატორი) ვრცელდება 2 (ორ) წლიანი გარანტია. თუ საგარანტიო პერიოდში მიწოდებულ საქონელი (მისი ექსპლუატაციის პირობების დაცვის შემთხვევაში) გამოავლენს წუნს, „მიმწოდებელი" ვალდებულია მოახდინოს მისი შეცვლა ახლით.

8. ხელშეკრულების კონტროლი - ინსპექტირების პირობები

8.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი - ინსპექტირება და/ან გამოცადონ შესყიდვის საგანი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

8.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.

8.3 ამ პუნქტის არცერთი ქვეპუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებებისაგან.

8.4 კონტროლს - ინსპექტირებას განახორციელებს სასწავლო ცენტრის **მძღოლი - თამაზ ოთარაშვილი.**

8.5 კონტროლი - ინსპექტირება გულისხმობს მისაწოდებელი საქონლის ხარისხისა და მიწოდების ვადების კონტროლს.

9. მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიწოდება (თანმდევი მომსახურებით) დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

10. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს/გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი (თანმდევი მომსახურებით);

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან/მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან

შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 (ათი) დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

12. ხელშეკრულების დადების საფუძველი

ხელშეკრულების დადების საფუძველი არის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტი.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 ქვეპუნქტისა (საგარანტიო პერიოდი).

14. სხვა პირობები

14.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

14.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

14.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, რომელთაგან ერთი პირი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო ორი პირი რჩება „შემსყიდველთან“.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“:

სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“,
საიდ.კოდი: 204 493 262
მის.გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილი
მე-17 კილომეტრი
ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში
ბ/კ TRESGE22
ა/ა 200122900

ავთანდილ მიქანაძე
დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს "ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია"
საიდ.კოდი: 401949674
მის. ქ.თბილისი, დიღმის მასივი, VI კვ. 22ბ კორპუსი
ბანკის დასახელება: ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE78TB7584336020100001

მალხაზი ჯიმშიაშვილი
დირექტორი

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ. რუსთავი 25 ოქტომბერი 2016 წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ აკუმულატორების, დენის პირველადი წყაროებისა და პირველადი ელემენტების **(CPV-31400000; 31431000)** შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავთანდილ მიქანაძე

დირექტორი

მალხაზი ჯიმშიაშვილი

დირექტორი

თამაზ ოთარაშვილი

მძღოლი

ნიკოლოზ დუჩიძე

შესყიდვების კოორდინატორი